ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6627216

ნომერი: AR1984684

თარიღი : 16.08.2023

გაცემის თარიღი : 23.08.2023

გაცნობის თარიღი : 23.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ტარიელის ქუჩა, N 1; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ვეფხისტყაოსანი , N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ჯინჭარაძე პ/ნ 01025001988
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 20 ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 16 აგვისტოს №AR1984684 განცხადებით მომართა მიხეილ ჯინჭარაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებით ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქ. №35/ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ტარიელის ქ. №1-ში მდებარე №01.72.14.038.213 (ფართობი: 989.0 კვ.მ.) და №01.72.14.038.093 (ფართობი: 790.0 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთების ფართობი და მიზნობრივი დანიშნულება არასწორად არის დაფიქსირებული. ასევე, გამორჩენილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე მიწის ნაკვეთების მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების საჭიროების შესახებ ჩანაწერის დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, №01.72.14.038.213 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 989.0 კვ.მ-ს, ხოლო №01.72.14.038.093 საკადასტრო ერთეულის - 790.0 კვ.მ-ს. შესაბამისად, მათი ჯამი შეადგენს 989.0+790.0=1779.0 კვ.მ, ხოლო ბრძანებაში „ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ“ ველში დაფიქსირებულია - 1688.0 კვ.მ. ამასთან, აღნიშნული საკადასტრო ერთეულები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს, ხოლო, „ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ“ ველში დაფიქსირებულია „არასასოფლო-სამეურნეო“. გარდა ამისა, 2023 წლის 31 ივლისის №AR1981568 განცხადებაზე, რომლითაც განმცხადებლის მიერ მოთხოვნის იქნა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, სამსახურის 2023 წლის 04 აგვისტოს №6597730 ბრძანებით დადგინდა ხარვეზები. მათ, შორის განმცხადებელს განემარტა, რომ ვინაიდან მიწის ნაკვეთები წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს საჭიროა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად გადაყვანის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებაში და „ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ“ ველში მიწის ნაკვეთების ფართობად დაფიქსირდეს: 1779.0 კვ.მ., მიზნობრივ დანიშნულებად: სასოფლო-სამეურნეო.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 23 ივლისის №6541634 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.